

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს 2021 წლის 20 თებერვლის სხდომის

### ოქმი #3

2021 წლის 20 თებერვლის შედგა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა. სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში, პროგრამა ZOOM-ის გამოყენებით.

სხდომა გახსნა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 40 წევრი, სხდომას ესწრებოდა 28.

კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

#### დღის წესრიგი:

1. ფაკულტეტის საბჭოს უფლებამოსილების ცნობის შესახებ;
2. ფაკულტეტის საბჭოს მდივნის არჩევის შესახებ;
3. პროგრამული ცვლილებების შესახებ;
4. დეპარტამენტების ხელმძღვანელების დამტკიცების შესახებ;
5. მიმდინარე საკითხები.

**1. მოისმინეს:** დღის წესრიგის პირველი საკითხი – ფაკულტეტის საბჭოს უფლებამოსილების ცნობის შესახებ. ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა წარმოადგინა ფაკულტეტის ახლადარჩეული საბჭოს წევრთა სია. სტუდენტთა შემადგენლობა საბჭოში იგივე დარჩა, მხოლოდ აკადემიური პერსონალიდან მოხდა საბჭოს წევრთა შემადგენლობის განახლება. შემდეგ ბატონმა რამაზმა მიულოცა ფაკულტეტის საბჭოს წევრებს არჩევა და შესთავაზა მათ ფაკულტეტის საბჭოს ახლადარჩეული შემადგენლობის უფლებამოსილების ცნობა (იხ. დანართები 1 - საბჭოს წევრთა სია და საარჩევნო კომისიების ოქმები).

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა ფაკულტეტის საბჭოს ახლადარჩეული შემადგენლობის უფლებამოსილების ცნობის საკითხს.

**კენჭისყრის შედეგები:** მომხრე - 28, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

**დაადგინეს:** ფაკულტეტის საბჭოს ახლადარჩეული შემადგენლობა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას.

ამის შემდეგ საბჭოს წევრები დაეთანხმნენ თავმჯდომარეს, წარმოდგენილი დღის წესრიგით განეგრძოთ მუშაობა.

**2. მოისმინეს:** დღის წესრიგის მეორე საკითხი – ფაკულტეტის საბჭოს მდივნის არჩევის შესახებ. ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა ფაკულტეტის საბჭოს მდივნის პოსტზე წარმოადგინა ასოცირებული პროფესორის თინათინ დავითაშვილის კანდიდატურა. ამასთან საბჭოს წევრებს შესთავაზა სხვა კანდიდატურის წამოყენებაც. თუმცა საბჭოს წევრებს სხვა კანდიდატურა არ წამოუყენებიათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა ასოცირებული პროფესორის თინათინ დავითაშვილის ფაკულტეტის საბჭოს მდივნად არჩევის საკითხს.

**კენჭისყრის შედეგები:** მომხრე - 28, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

**დაადგინეს:** დამტკიცდეს ფაკულტეტის საბჭოს მდივნის პოსტზე ასოცირებული პროფესორი თინათინ დავითაშვილი.

**3. მოისმინეს:** დღის წესრიგის მესამე საკითხი – პროგრამული ცვლილებების შესახებ. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა თ.ჭელიძემ. ქალბატონმა თამარმა საბჭოს წევრებს წარუდგინა ცვლილებები შემდეგ საგანმანათლებლო პროგრამებში: საბაკალავრო პროგრამა „კომპიუტერული მეცნიერება“, საბაკალავრო პროგრამა „კომპიუტერული მეცნიერება“ (ინგლისურენოვანი), საბაკალავრო პროგრამა „ქიმია“ (ინგლისურენოვანი). ცვლილებების საფუძველს წარმოადგენს ტექნიკური შეცდომის გასწორება, პროგრამის განვითარება და პროგრამის ოპტიმიზაცია (დაწვრილებით იხ. დანართი 1). გარდა ამისა, ცვლილება შევიდა სამაგისტრო პროგრამაში „ბიოლოგია“, მოდული „ნეირობიოლოგია“. კერძოდ, ნეირობიოლოგიის მოდულის მეორე სემესტრის სტუდენტებისთვის გენეტიკის მოდულის ძირითადი საგანი „გენომის არასტაბილურობა“ გახდება არჩევითი საგანი. აღნიშნული ცვლილება განპირობებულია ნეირობიოლოგიის მოდულის სტუდენტების სამომავლო სამაგისტრო თემების შესაძლო თემატიკით, რაც ითვალისწინებს გარკვეული გენეტიკური ცვლილებებით განპირობებული ფიზიოლოგიური ეფექტების შესწავლას (იხ. დანართი 2).

**აზრი გამოთქვეს:** პროფესორებმა ნ.დორეულმა, ნ.შათაშვილმა, ო.ფურთუხიამ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ზემოხსენებულ საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შეტანის შესახებ.

**კენჭისყრის შედეგები:** მომხრე - 28, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

**დაადგინეს:** შევიდეს ცვლილებები ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის შემდეგ საგანმანათლებლო პროგრამებში: საბაკალავრო პროგრამა „კომპიუტერული მეცნიერება“, საბაკალავრო პროგრამა „კომპიუტერული მეცნიერება“ (ინგლისურენოვანი), საბაკალავრო პროგრამა „ქიმია“ (ინგლისურენოვანი) და სამაგისტრო პროგრამაში „ბიოლოგია“, მოდული „ნეირობიოლოგია“ (იხ. დანართები 1-2).

**4. მოისმინეს:** დღის წესრიგის მეოთხე საკითხი – დეპარტამენტების ხელმძღვანელთა დამტკიცების შესახებ. ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა საბჭოს წევრებს გააცნო დეპარტამენტის თავმჯდომარეთა არჩევნების შედეგები (იხ. დანართი 3 - დეპარტამენტის ხელმძღვანელთა საარჩევნო კომისიების ოქმები).

შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ფაკულტეტის დეპარტამენტების ახლად არჩეულ ხელმძღვანელთა დამტკიცების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:** მომხრე - 28, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

**დაადგინეს:** დამტკიცებულ იქნას ფაკულტეტის დეპარტამენტების ახლად არჩეული ხელმძღვანელები:

- 1) მათემატიკის დეპარტამენტი - პროფესორი ომარ ფურთუხია;
- 2) კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტი - პროფესორი მანანა ხაჩიძე;

- 3) ფიზიკის დეპარტამენტი - პროფესორი არჩილ უგულავა;
- 4) ქიმიის დეპარტამენტი - პროფესორი ომარ მუკბანიანი;
- 5) ბიოლოგიის დეპარტამენტი - პროფესორი დიანა ძიძიგური;
- 6) გეოგრაფიის დეპარტამენტი - პროფესორი დავით კერესელიძე;
- 7) გეოლოგიის დეპარტამენტი - პროფესორი ბეჟან თუთბერიძე;
- 8) ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის დეპარტამენტი - პროფესორი გიორგი ღვედაშვილი.

**5. მოისმინეს:** დღის წესრიგის მეხუთე – მიმდინარე საკითხები. აქ განხილული იყო შემდეგი საკითხები:

- ა) ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებაში ცვლილებების შეტანა (ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი ვაჟა ტრაპაიძე);
  - ბ) მათემატიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტების სადისერტაციო ნაშრომის თემებისა და ხელმძღვანელების დამტკიცება (ვაჟა ტრაპაიძე);
  - გ) სასწავლო პროცესის ფორმატის შესახებ გაზაფხულის სემესტრში (ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე, ასოცირებული პროფესორი რ.ხომერიკი).
- ა) ბატონმა ვაჟა ტრაპაიძემ საბჭოს წევრებს გააცნო არაორგანულ-ორგანული ნაერთების და არატრადიციული მასალების საფაკულტეტო ს/კ ინსტიტუტის დირექტორის და სამეცნიერო ხელმძღვანელის, ემერიტუს პროფესორის, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორის, ნოდარ ლევიშვილის განცხადება აღნიშნული ინსტიტუტის ლიკვიდაციის შესახებ (იხ. დანართი 4.1). აღნიშნული საკითხი განიხილა ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულების კომისიამ და ერთხმად მხარი დაუჭირა (იხ. დანართი 4.2) ემერიტუს პროფესორ ნოდარ ლევიშვილის წინადადებას ინსტიტუტის ლიკვიდაციის შესახებ, რაც შესაბამისად უნდა აისახოს ფაკულტეტის საბჭოს დებულებაში.

**აზრი გამოთქვას:** პროფესორებმა ნ.შათაშვილმა, ო.მუკბანიანმა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

**კენჭისყრის შედეგები:** მომხრე - 28, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

**დაადგინეს:** შევიდეს ცვლილება სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებაში. კერძოდ, შეიცვალოს „მუხლი 35. ფაკულტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულები“ და ამოღებულ იქნას „პ“ ქუნქტი:

- პ) არაორგანულ-ორგანული არატრადიციული ჰიბრიდული მასალების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

ბ) ბატონმა ვაჟა ტრაპაიძემ საბჭოს წევრებს გააცნო მათემატიკის დეპარტამენტის სადისერტაციო მუდმივმოქმედი დარგობრივი კომისიის თავმჯდომარის, პროფესორ თ.თადუმაძის წერილი და კომისიის ოქმი (იხ. დანართები 5). ბატონი თამაზი ითხოვს საბჭოზე დოქტორანტების გიორგი გოგნაძის, ნინო ბრეგვაძისა და ეკატერინე ნამგალაურის სადისერტაციო ნაშრომების თემებისა და ხელმძღვანელების დამტკიცებას.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

**კენჭისყრის შედეგები:** მომხრე - 28, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

**ბ) დაადგინეს:** დამტკიცდეს მათემატიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტების სადისერტაციო თემები და სამეცნიერო ხელმძღვანელები:

**გიორგი გოგნაძე** - სადისერტაციო თემა: „ზოგიერთი ტრიგონომეტრიული ჯამის და მათი საშუალოების ასიმპტოტური წარმოდგენის შესახებ“, სამეცნიერო ხელმძღვანელი თეიმურაზ ახოზაძე, ფმმდ, თსუ ასოცირებული პროფესორი;

**ნინო ბრეგვაძე** - სადისერტაციო თემა: „რეგულარულ განტოლებათა სისტემისაგან ინდუცირებული ჰამილტონიანის ზოგიერთი თვისება და გამოყენებები“, სამეცნიერო ხელმძღვანელი გრიგორ გიორგაძე, ფმმდ, თსუ ასოცირებული პროფესორი.

**ეკატერინე ნამგალაური** - სადისერტაციო თემა: „მარტინგალური წარმოდგენის თეორემები ბროუნის ფუნქციონალებისათვის“, სამეცნიერო ხელმძღვანელი ომარ ფურთუხია, ფმდ, პროფესორი .

**გ) სასწავლო პროცესის ფორმატის შესახებ** გაზაფხულის სემესტრში (ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე, ასოცირებული პროფესორი რ.ხომერიკი). ბატონმა რამაზმა განსახილველად გამოიტანა მეტად აქტუალური საკითხი - რა ფორმატით გაგრძელდეს მეცადინეობები მეორე სემესტრში, რომელიც 1 მარტიდან იწყება. იმის გათვალისწინებით, რომ მეორე კორპუსში გათბობა არ არის, ასევე მეთერთმეტე კორპუსში ბიოლოგიის დეპარტამენტის აუდიტორიები ბოლომდე არაა მოწესრიგებული რემონტის გამო, ფაკულტეტის დეკანს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ სასწავლო პროცესი დაიწყოს ონლაინ. სემესტრის განმავლობაში ვითარებისა და მიხედვით და დეპარტამენტების გადაწყვეტილებით მოხდება პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობების აუდიტორიებში განახლება.

**აზრი გამოთქვას:** პროფესორებმა ო.ფურთუხიამ, ნ.შათაშვილმა, ნ.დორეულმა, დ.ძიმიგურმა, ლ.მაჭავარიანმა, სტუდენტმა თ.გოგრიჭიანმა. მსჯელობის შედეგად მოხდა საბოლოო გადაწყვეტილების ფორმულირების დაზუსტებაც. საბჭოს წევრებმა იმსჯელეს საშუალებდო და საბოლოო გამოცდების ფორმატებზეც, ერთმანეთს გაუზიარეს გამოცდილება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

**კენჭისყრის შედეგები:** მომხრე - 28, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

**ბ) დაადგინეს:** ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე 2020-2021 სასწავლო წლის მეორე სემესტრში სასწავლო პროცესი დაიწყოს ონლაინ. სემესტრის განმავლობაში დეპარტამენტების გადაწყვეტილებით მოხდება პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობების აუდიტორიებში განახლება ვითარების მიხედვით.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,  
ასოცირებული პროფესორი რამაზ ხომერიკი



ფაკულტეტის საბჭოს მდივანი,  
ასოცირებული პროფესორი თინათინ დავითაშვილი

